

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი/BA in Mass Communication

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა კომუნიკაციისა და მედიის ძირითად მიმართულებათა შესახებ;
- ცოდნა ციფრული კომუნიკაციის დარგში მსოფლიო გამოცდილების, კომუნიკაციებზე ტექნოლოგიათა გავლენის ისტორიის, თანამედროვეობისა და მომავლის გამოწვევების შესახებ;
- სხვადასხვა მედიუმის საშუალებით კომუნიკაციის პრინციპების ცოდნა;
- კვლევის თანამედროვე სტანდარტების საბაზისო ცოდნა;
- ცოდნა იმ ღირებულებების, პრინციპების და სტანდარტების შესახებ, რასაც ეყრდნობა საუკეთესო პრაქტიკა თანამედროვე მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობაში.
- სხვადასხვა სახის მედია ორგანიზაციის აგებულებისა და სტრუქტურული რგოლების ფუნქციების ცოდნა.

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი;

- ონლაინ კონტენტის შექმნის, სხვადასხვა აუდიტორიისა და მიზნებისთვის სწორი ფორმატის შერჩევის, კონტენტის დისტრიბუციის სტრატეგიის დაგეგმვის უნარი;
- სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის შეგროვების, გაანალიზების, შეფასებისა და გამოყენების უნარი;
- სხვადასხვა ტიპის ონლაინ მედია პლატფორმის დამოუკიდებლად შეარჩევის, შექმნისა და განვითარების უნარი;
- ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით პროფესიული ამოცანების ეფექტურად გადაჭრის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უცხო ენად აქვთ ჩაბარებული ინგლისური ენა. რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, ხოლო უცხო ენად ჩააბარა ინგლისური ენა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება:

ბაკალავრს აქვს კომუნიკაციის ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ ფართო თეორიული, და ციფრული მედიისა და კომუნიკაციის შესახებ სიღრმისეული ცოდნა; ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას კომუნიკაციის თეორიების, პრაქტიკისა და მიმდინარე პროცესების შესახებ და შეუძლია ამ სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.

ბაკალავრი ერკვევა ვერბალური, არავერბალური, ვიზუალური თუ ციფრული კომუნიკაციის სხვადასხვა მიმართულებებში; შეუძლია მათი დახასიათება და ამოცანების განსაზღვრა; იგი აცნობიერებს ციფრული მედიისა და კომუნიკაციების ძირითად პრინციპებს და იცის, თუ რას წარმოადგენს საუკეთესო ციფრული კომუნიკაციის პრაქტიკა. ერკვევა და იცნობს სხვადასხვა სახის მედია ორგანიზაციის აგებულებას და სტრუქტურული რგოლების ფუნქციებს: იცნობს და იზიარებს პროფესიული ეთიკის ფუნდამენტურ პრინციპებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

სწავლისას მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე ბაკალავრს შეუძლია ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ბაკალავრს აქვს უნარი კონსულტაციების გავლის შედეგად, რესურსის სიმცირის პირობებშიც კი, გამონახოს ადეკვატური და ეფექტური გზები კომუნიკაციასთან და მედიასთან დაკავშირებული პროფესიული პრობლემების მოსაგვარებლად; შეუძლია უცხო გარემოში ადაპტირება და შესაბამისად რეაგირება.

ბაკალავრს აქვს ციფრულ გარემოში კონტენტის შექმნის, სასურველი აუდიტორიისთვის სათანადო ფორმატში მიწოდების უნარი; შეუძლია ინფორმაციის მოძიება ონლაინ წყაროებიდან, დოკუმენტებიდან, მონაცემთა ბაზებიდან და სოციალური ქსელებიდან, მათი შეფასება და გამოყენება საკუთარი კონტენტის შესაქმნელად; პროფესიული მიზნებიდან გამომდინარე შეუძლია სხვადასხვა ვებ-ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა აუდიტორიაზე წვდომა და სხვადასხვა მიზნით და ფორმით კომუნიკაცია. ბაკალავრს შეუძლია ვებსაიტის კომპონენტების გააზრება, მოდიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი პორტალის შექმნა და მართვა. ციფრული კონტენტის შექმნასთან ერთად შეუძლია ონლაინ თემების/მომხმარებლების მართვა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებისთვის.

დასკვნის უნარი:

ბაკალავრი ფლობს არაკომპლექსური პრობლემის ამოცნობისა და მისი ფორმულირების უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის გზის შერჩევა და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ლოგიკური დასკვნის გაკეთება. ბაკალავრი აღჭურვილია მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და არსებული მონაცემების ანალიზის უნარით. შეუძლია მათი მეტ-ნაკლებად კომპლექსურად განსჯა.

ბაკალავრს შეუძლია ლოგიკურად აზროვნება და ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი; ციფრული კომუნიკაციის სფეროში არსებული ძირითადი პრობლემის იდენტიფიკაცია, გამოცალკევება და ერთმანეთთან შედარება; ბაკალავრი ითვისებს აბსტრაქტული აზროვნების უნარს, რომელიც აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტაციის, ანალიზის, მსჯელობის აგებისა და დამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების საშუალებას. ბაკალავრს შეუძლია: ციფრულ კომუნიკაციებში მიმდინარე პროცესებზე მოქმედი ფაქტორების შეფასება; ჩატარებული კვლევის, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მიღებული მონაცემების სწორი ანალიზი; ახალი ინფორმაციის კონტექსტუალიზაცია; შედეგების ფორმულირება და დასკვნების გამოტანა; გადაწყვეტილების მიღება და მისი დაცვა; პრობლემების და მოვლენების კონტექსტში დანახვა და გააზრება.

კომუნიკაციის უნარი:

ბაკალავრს შეუძლია წერილობითი, ზეპირი და ვიზუალური ფორმით გადმოსცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები. თავისუფლად ფლობს ახალ საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს და შეუძლია მათი მეშვეობით პროფესიული კომუნიკაცია არხის თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამის სასწავლო ფორმატიდან გამომდინარე, ბაკალავრს შეუძლია გუნდში ნაყოფიერი მუშაობა და ონლაინ კოლაბორაცია.

ბაკალავრს შეუძლია გამართულად მეტყველება და წერა-საკუთარი და სხვისი აზრის როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი, და ვიზუალური ფორმით მკაფიოდ და ნათლად გადმოცემა. შეუძლია მასალის ძირითადი აზრის გაგება და მოკლე შინაარსის დამახინჯების გარეშე გადმოცემა; გუნდში მუშაობა და გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობა; საკუთარი მოსაზრებების დაცვა; არსებული პრობლემებისა და მოვლენების შესახებ სასურველ აუდიტორიაზე მორგებული ტექსტური თუ აუდიო-ვიზუალური ნაშრომის შექმნა. აკადემიური პროცესის განმავლობაში შეძენილი მრავალმხრივი ხედვა, შედარებითი და კრიტიკული ანალიზისა და არგუმენტირებულად საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი ბაკალავრს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს ციფრული კომუნიკაციის ნებისმიერ მიმართულებასთან დაკავშირებულ დისკუსიებში; შეუძლია თეორიული მასალისა თუ კვლევის შედეგების თანმიმდევრული და არგუმენტირებული გადმოცემა.

ბაკალავრი ითვისებს მისთვის უცხო გარემოში ეფექტური კომუნიკაციის, დროული ადაპტაციისა და ადეკვატური რეაგირების მეთოდებს. იგი ფლობს კრიტიკული შენიშვნების მომზადებისა და დებატებში ჩაბმის უნარს, აქვს კულტურა მოუსმინოს სხვის აზრს და დაასაბუთოს თავისი განსხვავებული პოზიცია. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია თავისუფლად წარმართოს დიალოგი არასპეციალისტებთან, რადგან მას აქვს გამომუშავებული საკითხების მარტივად ჩამოყალიბებისა და გადმოცემის უნარი.

სწავლის უნარი:

ბაკალავრს შეუძლია სწავლის მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.

ბაკალავრს აქვს ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. დამოუკიდებლად სწავლისა და პროფესიული ზრდისკენ სწრაფვის უნარი, რაც ძირითადად პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას გულისხმობს. ბაკალავრს შეუძლია მიღებული სასწავლო დავალებების დამოუკიდებლად შესრულება, საჭირო ინფორმაციის მოძიება არსებული სასწავლო და სხვა რესურსების გამოყენებით; საკუთარი სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა; აქვს დამოუკიდებლად და გუნდში მუშაობის უნარი; პასუხს აგებს საკუთარ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება.

ღირებულებები:

ბაკალავრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემა. აქვს უნარი, შეაფასოს და ადეკვატურად აღიქვას სხვათა ღირებულებები, იცნობს და აფასებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. მას გააჩნია განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი, აქვს სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი.

ბაკალავრი ერკვევა და იზიარებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. აცნობიერებს სოციალურ, სახელმწიფო და სამოქალაქო პასუხისმგებლობას; გაცნობიერებული აქვს დამოუკიდებელი მედიის მნიშვნელობა დემოკრატიისათვის და მისი ფუნქციები, უფლებები და პასუხისმგებლობები დემოკრატიულ საზოგადოებაში. იცნობს კომუნიკაციის სპეციალისტების პროფესიული ქცევის ნორმებს და ეთიკურ დილემებს, და შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიული საქმიანობის წარმართვისას. ითვისებს საზოგადოების რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ თავისებურებებს. სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, მოქმედებს კეთილსინდისიერად.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება
- სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება,

პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე.

საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

- A = 4
- B = 3,2
- C = 2,4
- D = 1,6
- E = 0,8

დასაქმების სფერო:

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ ონლაინ მედიაში ან ტრადიციული მედიის ონლაინ-სივრცეში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ; საერთაშორისო, არასამთავრობო, სამთავრობო და კომერციული კომპანიების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, განსაკუთრებით, სოციალური მედიის მენეჯერების, კონტენტის მწარმოებლების და ონლაინ თემის კურატორების პოზიციებზე; შეძლებენ დამოუკიდებლად შექმნან და განავითარონ ონლაინ მედია-პლატფორმა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ციფრული მედიისა და კომუნიკაციის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.
- პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი აუდიო-ვიდეო აპარატურა, პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფა.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

შენობა-ნაგებობანი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართუ-

ლია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:

ანა ქეშელაშვილი

ბროსეს ქ. #2

თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: (995 32) 2 497545

მობ: (995 595) 902905

e-Mail: a.keshelashvili@gipa.ge

ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგნის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
სავალდებულო ზოგადი საგნები				9	9								
1.	DMC 101	არ გააჩნია	სიტყვის მხატვრული ფუნქცია და ენობრივი კომპეტენციები	4/100								32	68
2.	DMC 105	არ გააჩნია	მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 1	5/125								32	93
3.	DMC 106	DMC 105	მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 2		5/125							32	93
4.	DMC 110	DMC 101	აკადემიური წერა		4/100							32	68
ინგლისური ენის კომპონენტი⁵				5	5	5							
1.	ENG 201	არ გააჩნია	ინგლისური ენა 1	5/125								48	77
2.	ENG 205	ENG 201	ინგლისური ენა 2		5/125							48	77
3.	ENG 210	ENG 205	ინგლისური ენა 3			5/125						48	77
4.	ENG 215	ENG 210	ინგლისური ენა 4	5/125								48	77
5.	ENG 220	ENG 215	ინგლისური ენა 5		5/125							48	77
სპეციალობის სავალდებულო საგნები				13	16	25	18	25	14	15	21		

¹ კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

² სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

³ საკონტაქტო საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

⁴ დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

⁵ ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა 15 კრედიტის მოცულობით, 3 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად ჩააბარა სხვა უცხოური ენა, გარდა ინგლისური ენისა ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 15 კრედიტის დაგროვება სასწავლო კურსების: ინგლისური ენა 1-ის, ინგლისური ენა 2-ის, ინგლისური ენა 3-ის ხარჯზე. ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად ჩააბარა ინგლისური ენა, ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 15 კრედიტის დაგროვება სასწავლო კურსების: ინგლისური ენა 4-ის, ინგლისური ენა 5-ის, ინგლისური ენა 6-ის ხარჯზე. ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი) თავისუფლდება ინგლისური ენის კომპონენტიდან. ამ შემთხვევებში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ან/და თავისუფალი კომპონენტის ხარჯზე.

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
1.	DMC 104	არ გააჩნია	პოლიტიკური კომუნიკაციების ისტორია	5/125								32	93
2.	DMC 103	არ გააჩნია	ეფექტური კომუნიკაციის უნარები	4/100								32	68
3.	DMC 102	არ გააჩნია	ვებ-ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები	4/100								32	68
4.	DMC 107	არ გააჩნია	მედია და ძალაუფლება		4/100							32	68
5.	DMC 108	არ გააჩნია	კიბერკულტურა I		4/100							32	68
6.	DMC 111	არ გააჩნია	ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება 1		4/100							32	68
7.	DMC 109	არ გააჩნია	ფოტოგრაფია		4/100							32	68
8.	DMC 201	არ გააჩნია	საზოგადოებასთან ურთიერთობების საფუძვლები			4/100						32	68
9.	DMC 202	DMC 109	აუდიო-ვიდეო წარმოების შესავალი			4/100						32	68
10.	DMC 203	DMC 202	პოდკასტის წარმოება			4/100						32	68
11.	DMC 208	DMC 108	კიბერკულტურა II			4/100						32	68
12.	DMC 211	DMC 111	ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება 2			5/125						32	93
13.	DMC 204	DMC 101	ახალი ამბების თხრობა 1			4/100						32	68
14.	DMC 205	არ გააჩნია	პროფესიული ეთიკის საფუძვლები				5/125					32	93
15.	DMC 210	არ გააჩნია	მენეჯმენტის საფუძვლები			4/100						32	68
16.	DMC 207	DMC 202	ვიზუალური თხრობა-ვიდეოწარმოება სხვადასხვა პლატფორმისთვის				5/125					32	93
17.	DMC 209	DMC 102	ციფრული კომუნიკაცია და სოციალური მედია			4/100						32	68
18.	DMC 302	არ გააჩნია	მულტიმედია და ონლაინ პლატფორმები					5/125				32	93
19.	DMC 303	DMC 110	მასკომუნიკაცია					5/125				32	93
20.	DMC 305	არ გააჩნია	მედია სამართალი					5/125				32	93
21.	DMC 301	არ გააჩნია	სტატისტიკის საფუძვლები					5/125				32	93
22.	DMC 304	არ გააჩნია	ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია					5/125				32	93
23.	DMC 306	არ გააჩნია	ინფორმაციის ვიზუალიზაცია						5/125			32	93
24.	DMC 308	DMC 110, DMC 301	კომუნიკაციის კვლევა 1						4/100			32	68
25.	DMC 307	DMC 304	სოციალური მედია მარკეტინგი						5/125			32	93
26.	DMC 404	DMC 302	ტრანსმედია პრაქტიკული პროექტი							5/125		48	77
27.	DMC 408	DMC 110, DMC 301 DMC 308	კომუნიკაციის კვლევა 2							5/125		32	93

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²		
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴	
				სემესტრი										
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII			
28.	DMC 401	DMC 210	მართვის თანამედროვე მეთოდები								5/125		32	93
29.	DMCP 490	DMC 101 DMC 111 DMC 109 DMC 201 DMC 202 DMC 211 DMC 204 DMC 209 DMC 302 DMC 307	სასწავლო პრაქტიკა									6		
30.	DMCF 499	225 ECTS	სტუდენტური პორტფოლიო									15		
			სპეციალობის არჩევითი საგნები				10	5	11	10				
1.	DMCE 002	DMC 204	ახალი ამბების თხრობა 2				5/125						32	93
2.	DMCE 001	DMC 111 DMC 211	ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება 3				5/125						32	93
3.	DMCE 009	არ გააჩნია	მედიასთან ურთიერთობა და წერა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში				5/125						32	93
4.	DMCE 011	არ გააჩნია	კიბერუსაფრთხოება				5/125						32	93
5.	DMCE 010	DMC 201	საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პიარი					5/125					32	93
6.	DMCE 003	არ გააჩნია	მონაცემთა ჟურნალისტიკა					5/125					32	93
7.	DMCE 004	DMC 204	კულტურის გაშუქება							3/75			16	59
8.	DMCE 005	DMC 204	ჯანმრთელობის საკითხების გაშუქება							3/75			16	59
9.	DMCE 013	DMC 304	ბრენდინგის საფუძვლები							3/75			16	59
10.	DMCE 014	DMC 201	პიარ ქეისები							3/75			16	59
11.	DMCE 007	DMC 204	საგამომიებო ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა							5/125			32	93
12.	DMCE 012	DMC 201	საზოგადოებრივი აზრი							5/125			32	93
13.	DMCE 006	DMC 204	ბიზნესის გაშუქება								5/125		32	93
14.	DMCE 017	DMC 202	ვიზუალური თხრობის თანამედროვე მეთოდები								5/125		32	93
15.	DMCE 015	DMC 201	გარემოსდაცვითი საკითხები და საზოგადოებასთან ურთიერთობა								5/125		32	93
16.	DMCE 016	DMC 201	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა								5/125		32	93

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანის მოდული	ECTS კრედიტი/საათი ¹								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ²	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები ³	დამოუკიდებელი საათები ⁴
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
17.			თავისუფალი კომპონენტი ⁶						6	6	12		
			სემესტრში	27	30	30	28	30	31	31	33		
			წელიწადში	57		58		61		64			

სწავლების შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	მოდული/საგანი	კომპეტენციები							
			ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები		
		სავალდებულო ზოგადი საგნები								
1.	DMC 101	სიტყვის მხატვრული ფუნქცია და ენობრივი კომპეტენციები	X	X		X				
2.	DMC 105	მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 1	X	X	X					X
1.	DMC 106	მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 2	X	X	X					X

⁶ ციფრული მედიისა და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, უნდა აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსები, მაგრამ არა უმეტეს 24 კრედიტისა.

2.	DMC 110	აკადემიური წერა	X	X			X	
ინგლისური ენის კომპონენტი								
1.	ENG 201/ ENG 215	ინგლისური ენა 1/ინგლისური ენა 4	X	X		X	X	
2.	ENG 205/ ENG 220	ინგლისური ენა 2/ინგლისური ენა 5	X	X		X	X	
3.	Eng 210	ინგლისური ენა 3	X	X		X	X	
სპეციალობის სავალდებულო საგნები								
1.	DMC 104	პოლიტიკური კომუნიკაციების ისტორია	X	X	X	X		
2.	DMC 103	ეფექტური კომუნიკაციის უნარები	X	X		X		
3.	DMC 102	ვებ-ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	X
4.	DMC 107	მედია და ძალაუფლება	X		X			X
5.	DMC 108	კიბერკულტურა I	X	X	X			
6.	DMC 111	ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება 1	X	X	X	X		X
7.	DMC 109	ფოტოგრაფია	X	X			X	
8.	DMC 201	საზოგადოებასთან ურთიერთობების საფუძვლები	X		X			X
9.	DMC 203	პოდკასტის წარმოება	X	X	X	X		X
10.	DMC 202	აუდიო-ვიდეო წარმოების შესავალი	X	X	X	X	X	
11.	DMC 208	კიბერკულტურა II	X	X	X			
12.	DMC 211	ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება 2	X	X	X	X		X
13.	DMC 204	ახალი ამბების თხრობა 1	X	X	X			
14.	DMC 205	პროფესიული ეთიკის საფუძვლები	X	X	X			X
15.	DMC 210	მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X	X		X
16.	DMC 207	ვიზუალური თხრობა - ვიდეოწარმოება სხვადასხვა პლატფორმისთვის	X	X	X	X		X
17.	DMC 209	ციფრული კომუნიკაცია და სოციალური მედია	X	X		X		
18.	DMC 302	მულტიმედია და ონლაინ პლატფორმები	X	X		X		
19.	DMC 303	მასკომუნიკაცია	X	X	X	X		X
20.	DMC 305	მედია სამართალი	X	X	X	X		X
21.	DMC 301	სტატისტიკის საფუძვლები	X	X	X			
22.	DMC 304	ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია	X	X		X		
23.	DMC 306	ინფორმაციის ვიზუალიზაცია	X	X		X		
24.	DMC 308	კომუნიკაციის კვლევა 1	X	X	X	X	X	X

25.	DMC 307	სოციალური მედია მარკეტინგი	X	X		X		
26.	DMC 404	ტრანსმედია პრაქტიკული პროექტი	X	X	X	X		X
27.	DMC 408	კომუნიკაციის კვლევა 2	X	X	X	X	X	
28.	DMC 401	მართვის თანამედროვე მეთოდები	X	X	X	X	X	X
		სპეციალობის არჩევითი საგნები						
1.	DMCE 002	ახალი ამბების თხრობა 2	X	X	X	X	X	X
2.	DMCE 001	ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება 3	X	X				X
3.	DMCE 009	მედიასთან ურთიერთობა და წერა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში	X	X	X	X		X
4.	DMCE 010	საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პიარი	X	X	X	X		X
5.	DMCE 003	მონაცემთა ჟურნალისტიკა	X	X	X	X	X	X
6.	DMCE 004	კულტურის გაშუქება	X	X		X	X	
7.	DMCE 005	ჯანმრთელობის საკითხების გაშუქება	X	X	X			X
8.	DMCE 006	ბიზნესის გაშუქება	X	X		X		
9.	DMCE 007	საგამომცემო ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა	X	X	X			X
10.	DMCE 011	კიბერუსაფრთხოება	X	X	X			
11.	DMCE 012	საზოგადოებრივი აზრი	X	X		X		
12.	DMCE 013	ბრენდინგის საფუძვლები	X	X	X			
13.	DMCE 014	პიარ ქეისები	X	X	X			X
14.	DMCE 017	ვიზუალური თხრობის თანამედროვე მეთოდები	X	X	X	X		X
15.	DMCE 015	გარემოსდაცვითი საკითხები და საზოგადოებასთან ურთიერთობა	X	X	X			X
16.	DMCE 016	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	X	X	X			

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე
(CURRICULUM VITAE)

სახელი, გვარი	ანა ქეშელაშვილი		
თანამდებობა	სრული პროფესორი		
სამუშაო ადგილი	საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი		
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	995 595 902905	ელ-ფოსტა: a.keshelashvili@gipa.ge

<p>დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები</p>	<p>დისერტაციის თემა: <i>ჟურნალისტური ინოვაციების დანერგვის ტენდენციების შესწავლა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ჟურნალისტიკის პროგრამებში კსელური ანალიზის ჭრილში.</i> Innovation among Georgian journalism educators: A network analysis perspective</p> <p>სამეცნიერო კვლევის სფეროები: ჟურნალისტური განათლება; ტექნოლოგიების გავლენა ჟურნალისტის პროფესიასა და საქმიანობაზე; სამოქალაქო ჟურნალისტიკა და მოქალაქე ჟურნალისტების იდენტობა; თვითპრეზენტაცია და იმიჯის მენეჯმენტი; ინფორმაციის გადამოწმების ტექნოლოგიები.</p>
<p>პუბლიკაციები</p>	<p>European Journalism Training Association (EJTA) research project Journalistic Roles, Values and Qualifications in the 21st Century; how journalism educators in Europe view the future of a profession in transition. - გასაჯაროვდება 2019</p> <p>Keshelashvili, A., Drok, N., & Chakvetadze, T. (სამუშაო პროცესში). How do Georgian Journalism Educators View the Profession in Transition.</p> <p>Mortensen, T. M., Jones, J., & Keshelashvili, A. (2015). Dear Citizen Photojournalists: Who are you? Studying the motivations and values of citizen photojournalists. <i>Photographies</i>, 8(2), 211-230. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/17540763.2015.1066651</p> <p>Mortensen, T. B., Keshelashvili, A. & Weir, T. (2015): Who We Are. A Q-study of types of citizen journalists. <i>Digital Journalism</i>, DOI: 10.1080/21670811.2015.1053506 https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/21670811.2015.1053506?journalCode=rdij20</p> <p>Keshelashvili, A. (2014). Innovation among Georgian journalism educators: A network analysis perspective (Doctoral dissertation, University of South Carolina). https://scholarcommons.sc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=4004&context=etd</p> <p>Mortensen, T. B., & Keshelashvili, A. (2013). If Everyone with a Camera Can Do This, Then What? Professional Photojournalists’ Sense of Professional Threat in the Face of Citizen Photojournalism. <i>Visual Communication Quarterly</i>, 20(3), 144-158. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/15551393.2013.820587</p> <p>ქეშელაშვილი, ა., ნაჭყებია, თ., პაიჭაძე გ. და ასათიანი ს. (2013) ვიდეო ადვოკატირების სახელმძღვანელო. პროექტი ჰარმონია, თბილისი, საქართველო https://docs.google.com/viewer?url=http%3A%2F%2Fciivics.ge%2Fuploads%2Fvideo_advocacy_manual.pdf</p>

დანართი №2

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ

№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1.	ზაალ ჩხეიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 1 • მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა 2
2.	დიანა ანფიმიადი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • სიტყვის მხატვრული ფუნქცია და ენობრივი

			კომპეტენციები
3.	გიორგი თუმშალიშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> პოლიტიკური კომუნიკაციების ისტორია
4.	ანა გორგოძე	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> ეფექტური კომუნიკაციის უნარები
5.	გიორგი ურუშაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ვებ-ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები
6.	ზვიად ქორიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> მედია და ძალაუფლება
7.	მაია კალანდაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> აკადემიური წერა
8.	დავით მაკარიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> კიბერკულტურა I კიბერკულტურა II კიბერუსაფრთხოება
9.	ანანო ასპანიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება 1 ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება 2 ვებ-ტექნოლოგიები და პროგრამირება 3
10.	ლელი ბლაგონრაგვა	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> ფოტოგრაფია
11.	ელდარ პირმისაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> საზოგადოებასთან ურთიერთობების საფუძვლები პიარ ქეისები
12.	თინათინ ნაჭყეზია	ასისტენტ-პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> პოდკასტის წარმოება
13.	ელენე ასათიანი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> აუდიო-ვიდეო წარმოების შესავალი
14.	თინათინ ცომაია	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> ახალი ამბების თხრობა 1 ახალი ამბების თხრობა 2 ჯანმრთელობის საკითხების გაშუქება
15.	ნინო ჯაფიაშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> პროფესიული ეთიკის საფუძვლები მულტიმედია და ონლაინ პლატფორმები
16.	ნინო შომიტიანი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> მენეჯმენტის საფუძვლები

17.	ნინო ორჯონიკიძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური თხრობა - ვიდეოწარმოება სხვადასხვა პლატფორმისთვის
18.	მირიან ჯუღელი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ციფრული კომუნიკაცია და სოციალური მედია • სოციალური მედია მარკეტინგი
19.	მაია მიქაშავიძე	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • მასკომუნიკაცია
20.	ლია საჯაია	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • მედია სამართალი
21.	ქანა ანთია	ასისტენტი	<ul style="list-style-type: none"> • სტატისტიკის საფუძვლები
22.	ჯაბა ბოკუჩავა	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია
23.	ნინო მაჭარაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის ვიზუალიზაცია
24.	ანა ქეშელაშვილი	პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> • კომუნიკაციის კვლევა 1 • კომუნიკაციის კვლევა 2
25.	ნინო ლომაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ტრანსმედია პრაქტიკული პროექტი
26.	ციცინო დალაქიშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • მართვის თანამედროვე მეთოდები
27.	თეა სხიერელი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • მედიასთან ურთიერთობა და წერა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში
28.	სალომე ბენიძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პიარი
29.	ნინო გაგუა	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ჟურნალისტიკა
30.	სალომე კიკაღიშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • კულტურის გაშუქება
31.	გიორგი კალანდაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის გაშუქება
32.	გივი მგელაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • საგამომიებო ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა
33.	ნინო დანელია	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • საზოგადოებრივი აზრი

34.	შოთა ჩინჩალაძე	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ბრენდინგის საფუძვლები
35.	თემურ რუხაია	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური თხრობის თანამედროვე მეთოდები
36.	ეკატერინე შალუტაშვილი	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • გარემოსდაცვითი საკითხები და საზოგადოებასთან ურთიერთობა
37.	თამარ როდონაია	მოწვეული ლექტორი	<ul style="list-style-type: none"> • კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა